1080

ხელშეკრულება № 97/1
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.ბათუმი „01“„09“2012წ.

ერთის მხრივ, ინდ.მეწარმე ვახტანგ ხარშილაძე, (შემდგომში „შემსრულებელი“), სახით და მეორეს მხრივ სსიპ „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი“ (შემდგომში „დამკვეთი“), წარმოდგენილი ხელმძღვანელის ავთანდილ დემეტრაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს მხარეთა შორის ურთიერთობებს, რაც წარმოიშობა შემსრულებლის მიერ ხუთი ერთეული მსუბუქი ავტომობილით, ცენტრის სტუმრების (17 ადამიანი) ა.წ 2 სექტემბერს ქ.თბილისიდან და სომხეთის რესპუბლიკიდან (ქ.ერევანი) ქ.ბათუმში ჩამოყვანისა და ა.წ 9 სექტემბერს ქ.ბათუმიდან ქ.თბილისში და სომხეთის რესპუბლიკაში (ქ.ერევანი) გადაყვანისას (საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები CPV–50100000).

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2160 (ორი ათას ასსამოცი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით

3. ხელშეკრულების საფუძველი

3.1. „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ; საქართველოს კანონი;
3.2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი;

4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება ა.წ. 2 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით.

5. მომსახურების მიღება ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების გაწევა დასტურდება შესაბამის აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერით;

6. ანგარიშსწორების ფორმა ვადები და ადგილი
6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით, ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ;

6.2. უნაღდო ანგარიშსწორება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ა.წ 30 სექტემბრამდე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;
8.2. თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი მოსაზრებები წერილობითი ფორმით;
8.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1. დამკვეთი უფლებამოსილია მომსახურების პარალელურად განახორციელოს ინსპექტირება, ხელშეკრულებასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
9.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებს დამკვეთის წარმომადგენელი;
9.3. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ დამკვეთი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს შემსრულებელს;
9.4. დარღვევების აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოებების შედეგი;
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მისი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

11. დავის გადაწყვეტა

11.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით;
11.2. ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაჭრელად, დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შემსრულებელს არ აქვს ფასების გადასინჯვის უფლება, თუ იგი გამოიწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ზრდას;
12.2 შემსრულებელს არ აქვს უფლება დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისთვის უფლებების გადაცემა;
12.3 ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე, გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციებს;
12.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. ისეთ შემთხვევებში, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებაში მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
13.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსრულებლს, მეორე კი დამკვეთს.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსრულებელი	დამკვეთი
ი.მ ,,ვახტანგ ხარშილაძე"	სსიპ ,,კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი"-ს ხელმძღვანელი
---------- ვ.ხარშილაძე	---------- ა.დვალიშვილი
სს ,,თიბისი ბანკი"	სახელმწიფო ხაზინა
ბ.№ 54001018344	სახაზინო კოდი 320405
ა.ა GE45TB7943036010100002	საინდ/კოდი 204578242
ქ.ჭიათურა ს. მორძგვეთი	ქ. ბათუმი მელაშვილის ქ. №26